

---

ჰაინრიხ ბიოლის ფონდში 2010 წლის  
15 დეკემბერს გამართული საჯარო დისკუსია  
თემაზე:

„საბჭოთა მემკვიდრეობის გააზრების გზები“

---

ძირითადი მომხსენებლები:

თომას ლუკი – ესტონეთის ელჩი  
საქართველოში

ლაშა ბაქრაძე – ისტორიკოსი, საბჭოთა  
წარსულის კვლევის ლაბორატორია

გიორგი კლდიაშვილი – ისტორიკოსი,  
თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის  
უნივერსიტეტის პროფესორი, ინფორმაციის  
თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის  
დირექტორი

თორნიკე შარაშენიძე – ისტორიული  
სიმართლის დამდგენი სახელმწიფო კომისიის  
აღმასრულებელი მდივანი

---

მოდერატორი: გიორგი გვახარია

---

**გოგი გვახარია** – მოგესალმებით. სასიხარულოა, რომ ამდენი ხალხი დაინტერესდა ამ თემით. ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, რომ ეს დარბაზი ასე გაივსებოდა. ყველას დიდი მადლობა მოსვლისთვის.

ქალბატონმა ირისმა მთხოვა, მისთვის დისკუსიის დასაწყისში სიტყვა მიმეცა. მოვუსმინოთ მას და შემდეგ უკვე მომხსენებლები ისაუბრებენ.

**ირის კემპე, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიუროს დირექტორი** – სადამო მშვიდობისა. ძალიან სასიამოვნოა, რომ დღეს ამდენი სტუმარი გვყავს. ჩვენ ერთი წლის წინ დავიწყეთ მუშაობა ამ მიმართულებით. ეს არის ერთ-ერთი პროექტი, რომელსაც ახორციელებს ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი. დებატები ამ თემაზე ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, იმიტომ რომ წარსულში ჩაუხედავად მომავალი დემოკრატია არ არსებობს. რადგან საქართველო დემოკრატიის და საბაზრო ეკონომიკის გზით მიდის, რადგან დაემშვიდობა ავტორიტარულ წარსულს, ნამდვილად მნიშვნელოვანია ასეთი დებატების გამართვა.

დღევანდელ დებატებში მონაწილეობის მისაღებად მოვიწვიეთ ესტონეთის ელჩი საქართველოში, რათა მან გაგვიზიაროს ევროპის გამოცდილება, ისაუბროს ევროპის ისტორიის შავ წერტილებზე. ჩვენ გვაინტერესებს წარსული, გვინდა თავი მოვუყაროთ ისტორიკოსებს, ხელისუფლების წარმომადგენლებს და ამ თემით დაინტერესებულ ადამიანებს.

ჩვენს ყოველთვიურ პუბლიკაციაში ვსაუბრობთ სტალინის პერიოდზე. ახლახანს მოსკოვიდან, ჩვენი პარტნიორი ორგანიზაციიდან, „მემორიალი“, ოცდაათი წიგნი მივიღეთ. სამი დღე ვიბრძოლეთ ამ წიგნების მოსაპოვებლად, იმიტომ რომ საბაჟოზე ვერაფრით ვერ გაიგეს, რატომ უნდა მიეღო ჰაინრიჰ ბიოლის ფონდს ამდენი წიგნი მოსკოვიდან. გვსურს ეს წიგნები გადავცეთ ბიბლიოთეკას, რომლითაც სარგებლობს ფართო საზოგადოება. იმედი გვაქვს, ესტონეთიც დაგვეხმარება ბიბლიოთეკის ჩამოყალიბებაში. ადარ შეგაწყენთ თავს. ბატონ გოგის გადავცემ სიტყვას და დავიწყეთ დებატები.

**გოგი გვახარია** – დავიწყეთ დისკუსია. სიტყვას გადავცემ ესტონეთის ელჩს საქართველოში ბატონ თომას ლუკს. იგი ალბათ გაგვიზიარებს იმ გამოცდილებას, თუ როგორ გაიაზრეს ეს პრობლემა ესტონეთში.

**თომას ლუკი** – მოგესალმებით ყველას. დიდი მადლობა მოწვევისათვის, იმისათვის, რომ მომეცა საშუალება ვისაუბრო სტალინიზმზე. ეს ჩვენი საერთო წარსულია. აქ მოსვლამდეც ვფიქრობდი, რომ არ ვარ ისტორიკოსი და ახლა, როცა ამდენ ხალხს ვხედავ, ვფიქრობ, რომ უფრო კარგად უნდა დავფიქრებულიყავი დისკუსიაში მონაწილეობაზე. თუმცა, ვფიქრობ მცირე წვლილს მაინც შევიტან დღევანდელ საუბარში.

თავად გახლავართ კომუნისტური წარსულის შვილი, იმ ეპოქაში დავიბადე. 70-80-იან წლებში ვიზრდებოდი. სტალინის პერიოდზე მხოლოდ გადმოცემით მსმენია. ჩემს პირად გამოცდილებაზე მოვითხრობთ. მინდა

გკითხოთ, შესაძლებელია ისტორიის ხელახლა დაწერა, მისი გადასინჯვა? 80-იან წლებში, როდესაც უმაღლესში ვაბარებდი, იყო საშუალება ისტორიის ფაკულტეტზე ჩამებარებინა, მაგრამ არ ჩავაბარე, იმიტომ რომ საბჭოთა კავშირის ისტორია უნდა მესწავლა. არ მინდოდა ცრუ ისტორიის სწავლა. ის, რაც ესტონეთში ოკუპაციის დროს მოხდა, არ იყო სამართლიანი. მაგრამ შეიძლება ისტორიის ხელახლა დაწერა? რა ვუთხრა ადამიანებს, რომლებიც დღეს წითელ დროშებს იქნევენ, ეს კარგი დრო იყო? ისტორიაზე არ შეიძლება ცალმხრივი აზრის გამოტანა. ისტორია ყველას მიერ ერთნაირად არ აღიქმება.

საქართველოზე რამდენიმე წიგნი მაქვს წაკითხული. ჩემს მეგობრებს, რომლებიც ჩამოდიან საქართველოში, ვუბნები, რომ ეს არის თავგადასავლებით სავსე ქვეყანა. ავიღოთ თუნდაც სვანეთი. საქართველო ბრწყინვალე ისტორიის პატრონია. ამ ქვეყნის ათასწლოვანი ისტორია არის ისტორია ბრძოლების, ომების. მაგრამ ისტორია იმასაც გვაჩვენებს, რომ ერთ დროს დაუნდობელი მტრები შეიძლება მეგობრები გახდნენ. მაგალითად, იყო პერიოდი, როდესაც დანიელები ესტონელებს ებრძოდნენ, და ვერასდროს წარმოვიდგენდით, რომ ისინი ჩვენი მეგობრები გახდებოდნენ. 800 წლის შემდეგ დანიელები ჩამოდიან ესტონეთში, ეცნობიან ამ ქვეყანას და იმ ადგილებსაც ნახულობენ, სადაც ბრძოლები იმართებოდა.

დისკუსიის ძირითად თემას დავუბრუნდები. ესტონეთში ყველას ესმის, რომ სტალინიზმი დიქტატურა იყო, მახსოვს, როგორ ეშინოდათ ჩემს მშობლებსაც. მაგრამ არ შეიძლება მუდმივად წარსულში ცხოვრება, წინ უნდა გადადგა ნაბიჯი. ესტონეთის ისტორია იყო ოკუპაცია და არა ოკუპაცია, ანუ საბჭოთა კავშირში შესვლა, ან შეუსვლელიობა. პოლიტიკურად ძალიან ძნელია და ამავე დროს მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, რა მოხდა. შეიძლება ვიღაცამ თქვას, რომ ესტონეთი ფაშისტური, ან პრორუსული იყო. პრეზიდენტმა ლეონარდ მერმა შექმნა დამოუკიდებელი ორგანო ცნობილი პოლიტიკოსებისაგან. მათ ჩაატარეს კვლევა. დაიწერა ორი წიგნი, რომელთა მიზანი იყო განესაზღვრა ესტონეთის წარსული და პასუხი გაეცა კითხვისთვის, თუ როგორ მიუერთდა ესტონეთი საბჭოთა კავშირს. ეს წიგნები არ არის მზარცეპტების კრებული. ჩვენ გვსურდა მიუკერძოებელი აზრი მიგვეწოდებინა მკითხველისთვის ესტონეთის ისტორიაზე. აქ იყო ის დოკუმენტაცია, რომელიც არქივებში აღმოვაჩინეთ. ჩვენ შევეცადეთ თავი მოგვეყარა არსებული დოკუმენტაციისთვის და მკითხველისთვის მიგვეცა იმის საშუალება, თავად გაეკეთებინა დასკვნები.

ორი წლის წინ სტალინიზმის თემაზე არ ვისაუბრებდი, იმიტომ რომ ვიცი, რომ საქართველოში ზოგიერთ ადგილას ჯერ კიდევ უყვართ ეს სახელი. თუმცა აღმოსავლეთ ევროპელებისთვის სტალინის სახელი სისხლიან რეჟიმს უკავშირდება. გორში ჩასვლისას ყოველთვის ვფიქრობდით, ნეტა კიდევ რამდენ ხანს იდგებოდა მისი ძეგლი ქალაქის ცენტრში. ალბათ რთულია რაღაცის თქმა თანამემამულეზე, მაგრამ აუცილებელია. მე ჩემს ბაბუებს არ ვიცნობ. ერთი დახვრიტეს, მეორე გადაასახლეს, მაგრამ ჩვენ არ უნდა ვიცხოვროთ წარსულში.

ჩემთვის უკითხავთ საქართველოს, სამხრეთ კავკასიის განვითარებასთან დაკავშირებით. ვფიქრობ, თქვენ შეგიძლიათ იამაყოთ თქვენი ქვეყნით. საქართველომ ბოლო 5-6 წლის განმავლობაში განვითარების სერიოზული გზა გაიარა. ამას ასეთი თავდაჯერებით იმიტომ ვამბობ, რომ მახსოვს 1991-92 წლები

ესტონეთში. ხშირად ვიხსენებთ წარსულ წყენებს. მოდით, გულახდილად ვთქვათ, საქართველოსთვის და მთელი სამხრეთ კავკასიისთვის ბრწყინვალე მომავალს ვხედავ. ეს მარტო ჩემი პირადი აზრი არ არის. ჩემმა სამშობლომ ისტორიული პრობლემები ერთიანი ევროპის, ერთიანი მიზნების, ხედვისა და სწრაფვების მეშვეობით გადაწყვიტა.

მე ვიყავი შესული შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივებში. იქ ინახება დოკუმენტები 1920 წლიდან. იყო მომენტები, როდესაც საუბრობდნენ ამ არქივების განადგურებაზე. რა თქმა უნდა, არ უნდა გაგენადგურებინათ. იმიტომ რომ ასეთი არქივების ქონა იმის მანიშნებელია, რომ ქვეყანა მზად არის თავის წარსულზე სასაუბროდ. ეს კი იმისთვის არის აცილებელი, რომ უკეთესად განვჭვრიტოთ მომავალი.

გმადლობთ.

**ზოგი გვახარია** – ახლა ბატონ თორნიკეს მოვუსმინოთ. გთხოვთ, ჯერ ყველა მომხსენებელს მოვუსმინოთ და შემდეგ დავსვათ კითხვები.

**თორნიკე შარაშენიძე** – კომისიის საქმიანობაზე ვისაუბრებ. ახლახანს გამოვიდა 300-გვერდიანი წიგნი ქართულ-რუსულ ურთიერთობებზე. ხშირად ჰგონიათ, რომ ჩვენი კომისია ამ წიგნით იყო დაკავებული. ეს წიგნი სულ სხვა პროექტის ფარგლებში დაიწერა. ჩვენმა კომისიამ დღეს დაასრულა საქმიანობის პირველი ძირითადი ფაზა, დაიწერა დაახლოებით 50-გვერდიანი მოხსენება. ამ პროექტს ერქვა „ისტორიული სიმაღლის დამდგენი კომისია“. თემა იყო ძალიან კონკრეტული – ქართულ-რუსული ურთიერთობები, მოყოლებული გეორგიევსკის ტრაქტატიდან, 1990 წლით, ანუ დამოუკიდებლობამდელი პერიოდით დამთავრებული. გამიგია ჩვენი მისამართით გამოთქმული ბრალდებები იმის შესახებ, რომ გავაყალბებთ 2008 წლის მოვლენებს, მაგრამ სინამდვილეში ჩვენს კომისიას ამ თემაზე საერთოდ არ უმუშავია. ჩვენს მიერ დაწერილი მოხსენება შემდეგ ინგლისურ ენაზე ითარგმნება, რომ ყველას, ვინც დაინტერესდება ქართულ-რუსული ურთიერთობების ჩვენეული ხედვით, ჰქონდეს მისი გაცნობის საშუალება. მუშაობის პერიოდში ძალიან ბევრი ახალი დეტალი აღმოვაჩინეთ, დარწმუნებული ვარ, თქვენც ბევრ სიახლეს აღმოაჩენთ მოხსენების წაკითხვის შემდეგ. მოწვეული გვყავდნენ საუკეთესო ქართველი ისტორიკოსები. თითოეული მათგანი სხვადასხვა პერიოდზე, თავისი სპეციალიზაციის მიხედვით წერდა ნაშრომებს. საბოლოოდ 12 ასეთი ნაშრომი შეიქმნა.

კომისიის მუშაობის მიმართ კრიტიკაც გამოითქვა. ზოგი ამბობდა, რომ ახალს მაინც ვერაფერს ვიტყოდით, ზოგი მოგვიწოდებდა, თავი დაგვენებებინა რუსეთის კრიტიკისთვის და კიდევ უფრო მეტად გაღიზიანებისთვის. ჩემი აზრით, თუკი ვწერთ სიმაღლეს, ის უკვე არ შეიძლება იყოს ცუდი თავისთავად. მით უმეტეს, რომ ეს სიმაღლეს საქმეს მაინც ვეღარ გააფუჭებს. ჩემი დამოკიდებულება ამ კომისიის მიმართ ასეთი იყო, რომ ამ კომისიით უნდა დაგვეწყო ჩვენი ისტორიის კარგად შესწავლა. ანუ, რუსულ-ქართული ისტორიის გაანალიზება და შესწავლა გაცილებით უფრო უმტკივნეულო იქნება, ვიდრე მაგალითად, 90-იანი წლების საქართველოს ისტორია ან 2008 წლის ომის ისტორია.

თუ გვინდა დავიწყოთ ჩვენი ისტორიის ღრმად, ობიექტურად და უემოციოდ შესწავლა, ამის კეთება სჯობს დავიწყოთ შედარებით უმტკივნეულო თემიდან, რომელზეც ასე თუ ისე ყველანი უკვე შეთანხმებულები ვართ. უნდა ვისაუბროთ იმაზე, თუ რა გაუკეთა რუსეთმა საქართველოს, რა გაუკეთა საკუთარ თავს. უნდა გავანალიზოთ ეს ყველაფერი. შემდეგ უნდა გადავიდეთ 90-იანი წლების შესწავლაზე, როდესაც უამრავი შეცდომა იქნა დაშვებული. ამავე პერიოდში ძალიან ბევრი ცუდი გაგვიკეთა რუსეთმა, მაგრამ ჩვენც ბევრი დავაშავეთ. ეს ყველაფერი კარგად უნდა გავიაზროთ, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ მომავალში ასეთი შეცდომები აღარ დაგუშვათ.

მოსხენება, როგორც უკვე მოგახსენეთ, ფაქტობრივად დასრულებულია. კიდევ ერთხელ გადავხედავთ მას ისტორიკოსებთან ერთად. ჩვენი მიზანია, ის რაც შეიძლება დაბალანსებული იყოს. გმადლობთ.

**გოგი გვახარია** – ახლა სიტყვას ბატონ გიორგი კლდიაშვილს გადავცემ.

**გიორგი კლდიაშვილი** – დიდი მადლობა ჰაინრიჰ ბიოლის ფონდს მოწვევისთვის. ჩვენი განხილვის თემა არის სტალინიზმი, ამ ფენომენის არსი, როგორ არის გააზრებული ის საქართველოში, როგორ უნდა გავიაზროთ მომავალში და ა.შ.

თავდაპირველად ვისაუბრებ, თუ რაში მდგომარეობს სტალინიზმის ფენომენი. სოვეტოლოგია, როგორც დისციპლინა, დასავლური წარმოშობისაა. სოვეტოლოგიის შესწავლა დასავლეთის ქვეყნებში დაიწყო. საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში ამ მიმართულებას გარკვეულწილად პოლიტიკური დატვირთვაც ჰქონდა. მსოფლიო ორ ბანაკად იყო დაყოფილი და საჭირო იყო იდეოლოგიური მომზადება ყოველივე იმისა, რაც ხდებოდა პრაქტიკულად. სოვეტოლოგია იყო დისციპლინა, რომელსაც დასავლეთი იყენებდა იმისთვის, რათა იდეოლოგიურად დაპირისპირებოდა საბჭოთა კავშირს. შეგვიძლია ვთქვათ, რომ სოვეტოლოგიის მიმართულებით უდიდესი ნაბიჯები გადაიდგა დასავლეთში და გვყავს ძალიან ძლიერი და ცნობილი მეცნიერები. მაგალითად, სტეფან კურტუა და ნიკოლა ვერტი, რომლებმაც შექმნეს ქრესტომათიული ნაშრომი „კომუნიზმის შავი წიგნი“. ეს წიგნი 90-იანი წლების ბოლოს გამოვიდა, მაგრამ დღემდე უდიდეს ნაშრომად ითვლება. რობერტ კონკვესტი, რომელიც ავტორია წიგნისა „დიდი ტერორი“. ეს ტერმინი სწორედ ამ წიგნის შემდეგ შემოვიდა.

როგორც ვითხარით, ეს არის დასავლური ფენომენი. ცხადია, საქართველოში და მთლიანად საბჭოთა კავშირში სოვეტოლოგიის და სტალინიზმის გააზრება საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ დაიწყო. მაგრამ ამასაც თავისი ხელისშემშლელი ფაქტორები გააჩნდა. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა, რომელიც არსებობდა ჩვენს ქვეყანაში. აქ ყველას კარგად გვახსოვს 90-იანი წლები. ვის ეცალა მეცნიერებისთვის, როდესაც ქვეყანაში არ იყო გაზი და დენი და ელემენტალური საცხოვრებელი პირობები. რაც შეეხება საბჭოთა კავშირის ნგრევამდე არსებულ მდგომარეობას, ყველასთვის ცხადია, რომ საბჭოთა კავშირი არ შეისწავლებოდა. მიუხედავად იმისა, რომ 1956 წელს, პარტიის მე-20 ყრილობაზე დაიგმო სტალინის კულტი და პიროვნების კულტის შედეგები, ნიკიტა ხრუშჩოვის მიერ წარმოთქმული სიტყვა საზოგადოებისთვის უცნობი

დარჩა. ამის მიზეზი ის იყო, რომ თვითონ ის პიროვნებები, რომლებმაც დაგმეს პიროვნების კულტი, აქტიური თუ არა, პასიური მონაწილეები მაინც იყვნენ ყოველივე იმისა, რაც ხდებოდა საბჭოთა კავშირში. ყოველივე ამან განაპირობა სოვეტოლოგიის ნაკლებად განვითარება საქართველოში და მთლიანად პოსტსაბჭოურ სივრცეში.

დღეისთვის ვდგავართ ძალიან მნიშვნელოვანი საკითხის წინაშე, თუ როგორ უნდა მოხდეს სოვეტოლოგიის და სტალინიზმის გააზრება. სტალინიზმი არის ის პოლიტიკა, რომელიც საბჭოთა კავშირში 1924 წლიდან არსებობდა. ეს არის სახელმწიფო ტერორი, როგორც სახელმწიფო პოლიტიკა. სტალინიზმი და ტერორი ერთი და იგივეა. ვინც იცნობს დასავლურ ისტორიოგრაფიას და ეცნობა სოვეტოლოგიას, ეს ყველასთვის ცხადია. სტალინიზმი იყო სოციალურ-პოლიტიკური წყობა, რომელიც საბჭოთა კავშირში სტალინის გარდაცვალებამდე არსებობდა. სამი ათწლეულის განმავლობაში ქვეყანა ტერორის ქვეშ იმყოფებოდა. ამიტომ დღეს ძალიან მნიშვნელოვანია, გავიაზროთ, რა შედეგები მოიტანა ამან საბჭოთა კავშირში, როგორ იყო ის გამჭდარი ყველაფერში და როგორი ტერორის ქვეშ უწევდა ხალხს ცხოვრება.

სოვეტოლოგიაში არსებობდა რამდენიმე მიმართულება. იყო იდეოლოგიური დაპირისპირებები. მეცნიერები ამას მიმართულებებს და მეცნიერებებს შორის ე.წ. სამოქალაქო ომს უწოდებდნენ. 1999 წელს, წამყვანი სოვეტოლოგების შეკრებაზე ცნობილმა ფრანგმა მეცნიერმა ნიკოლა ვერტმა დასვა საკითხი, რომ უნდა დავივიწყოთ იდეოლოგიური მიმართულებები სოვეტოლოგიაში და სტალინიზმის გააზრებაში და დავიწყოთ არქივების შესწავლა. ანუ, სოვეტოლოგიის პრაქტიკულ შესწავლაზე გადასვლის აუცილებლობაზე მიუთითა. არქივების ბაზაზე უნდა დაწერილიყო ახალი ისტორია.

საქართველოში, აღიარებული ფაქტია, არქივები გახსნილია. არქივები წლების წინ გაიხსნა. დღეს უკვე ყველანაირი პირობა გვაქვს იმისათვის, რომ დოკუმენტებზე დაყრდნობით ობიექტურად შევაფასოთ საქართველოს და მთლიანად საბჭოთა კავშირის ისტორიაც. რამდენიმე თვის წინ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველომ გახსნა ყველა ის დოკუმენტი, რომელიც 1921-1991 წლებს ეხება. მთელ პოსტსაბჭოურ სივრცეში, ეს შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი ყველაზე წინგადადგმული ნაბიჯია. თუ არ ჩავთვლით ბალტიისპირეთის ქვეყნებს, რომლის წარმომადგენელიც, ბატონი ელჩი ჩვენთან ბრძანდება. ბალტიისპირელებმა, მათ შორის ესტონელებმა, პირველებმა გახსნეს არქივები. ჩვენი რუსი კოლეგები აღფრთოვანებულები არიან ჩვენში დოკუმენტებთან დაშვების არსებული მდგომარეობით. ისინი ამბობენ, რომ ჩვენ გვაქვს უნიკალური შანსი იმისთვის, რომ ობიექტურად შევაფასოთ ყოველივე ის, რაც ხდებოდა საქართველოში და მთელ საბჭოთა კავშირში 70 წლის განმავლობაში. სრულიად ახალი ფაზაა და დარწმუნებული ვარ, ბატონი თორნიკესთვის ეს კარგად არის ცნობილი და მისი კომისიის მუშაობა სწორედ საარქივო მასალებს დაეყრდნობა. ცხადია, ძალიან მნიშვნელოვანია, სტალინიზმის შესწავლა დაიწყოს მეცნიერულ წრეებში, უნივერსიტეტებში. ილიას უნივერსიტეტში უკვე არსებობს საბჭოთა და პოსტსაბჭოთა შესწავლის მიმართულება, სამაგისტრო პროგრამა. ცხადია, ეს უნდა იყოს ყველა წამყვან უნივერსიტეტში. იმიტომ, რომ საქართველოში,

გახსნილი არქივების ქვეყანაში, არ არის მისასაღმებელი მეცნიერების ამ მდგომარეობაში ყოფნა. სამწუხაროდ, ვერ დავიკვივხნით, რომ საქართველო არის ისეთი ტრადიციების მქონე, როგორც არის რუსეთი ისტორიოგრაფიის მხრივ. ეს ხარვეზი გამოსასწორებელია, დაინტერესებაც ძალიან დიდია. ვიმეორებ, არქივები გახსნილია, დოკუმენტები ხელმისაწვდომია. არქივებში მუშაობის პროცედურაც ძალიან გამარტივებულია. გმადლობთ.

**გოგი გვახარია** – ბატონმა გიორგიმ ბრძანა, რომ არქივი გახსნილია, მაგრამ როგორც ჩემთვის ცნობილია, არქივის დიდი ნაწილი განადგურებულია. მეორე საკითხია, რომ როდესაც იმართებოდა დისკუსია საბჭოთა სიმბოლიკის აკრძალვის კანონპროექტთან დაკავშირებით, როდესაც პირადად მე დავსვი კითხვა, ვინ მოუვლის საბჭოთა სიმბოლიკას, ვინ მოუვლის მიხეილ ჭიაურელის ფილმებს, რომელიც არის არქივში, თუ ხელისუფლება უარს ამბობს მის მოვლაზე, მიპასუხეს, რომ ალბათ გამოჩნდება კერძო ინვესტორი, ან ვინმე სხვა, ვინც დაინტერესდება ამ საკითხებით. არის დიდი ალბათობა, რომ არავინ მოუვლის და ეს ფილმები განადგურდება. ამიტომ ამ საკითხზე საუბარი საჭიროა. მართალია, აღარ არის საუბარი ამ კანონპროექტის შესახებ, მაგრამ დამოკიდებულება ჩვენი წარსულის მიმართ ასეთია. ეს დამოკიდებულება წაშლაში მდგომარეობს, ვითომ არაფერი გვექონია და ახალ ცხოვრებას ვიწყებდეთ.

ახლა ლაშას მოვუსმინოთ, იქნებ მან ამ თემაზეც ისაუბროს.

**ლაშა ბაქრაძე** – ძალიან მოხარული ვარ, რომ ამდენ ხალხს აინტერესებს ეს თემა. სულ რამოდენიმე წლის წინ ამავე თემაზე სასაუბროდ და მოსასმენად ალბათ დარბაზის მეოთხედსაც ვერ შევკრებდით. ეს იმას ნიშნავს, რომ ეს თემა საზოგადოებისათვის საინტერესო გახდა, მომწიფდა და ამიტომაც არის მნიშვნელოვანი უფრო მეტი ყურადღება მიექცეს ამ პერიოდის კვლევას. ისიც, რომ საბჭოთა სიმბოლოების თემამაც სერიოზული დისკუსია გამოიწვია საზოგადოებაში, იმაზე მეტყველებს, რომ არის ინტერესი ამ თემის მიმართ.

რამდენიმე ადამიანისგან შემდგარმა ჯგუფმა პატარა არასამთავრობო ორგანიზაცია ჩამოვაყალიბეთ, რომელსაც „საბჭოთა კვლევების ლაბორატორია“ დავარქვით. გიორგიც ჩვენი ლაბორატორიის წევრი გახლავთ. კალენდარი, რომელიც აქ იხილეთ, ჩვენმა ლაბორატორიამ გამოსცა. ასევე ვაპირებთ ქალაქის პატარა გეგმის გაკეთებას, სადაც საბჭოთა წარსულთან და ტერორთან დაკავშირებული, ჯერჯერობით მხოლოდ 23 შენობა იქნება დატანილი. ამ რუკის და კალენდრის პრეზენტაცია გაიმართება 25 იანვარს გოეთეს ინსტიტუტში, სადაც დავიწყებთ დისკუსიებს ამ თემასთან დაკავშირებით. ჩვენ ვცდილობთ საზოგადოებასთან კიდევ უფრო ახლოს მივიტანოთ ეს თემატიკა. ამასწინათ ბერლინშიც ვთქვი, რომ თითქოს მოვიდა ამ თემაზე საუბრის დრო, რომ უფრო დიდი დაინტერესება შეიმჩნევა ამ თემების მიმართ ჩვენს საზოგადოებაში. ამაზე ჩვენმა გერმანელმა კოლეგამ გვიპასუხა, რომ ეს მართლაც ძალიან საინტერესოა. მან მოიტანა არგენტინის მაგალითი და თქვა, რომ იქაც იყო დიქტატურა 1989-90-იან წლებამდე და ოცი წლის განმავლობაში ამ თემაზე არც იქ ლაპარაკობდნენ. იქაც ახლა დაიწყეს ლაპარაკი.

შესაძლოა, მართლაც იმდენად მტკივნეული იყო ეს პერიოდი ჩვენთვის, რომ ოცწლიანი ფაზა დაგვჭირდა ამ თემაზე საუბრის დასაწყებად. ცუდი სოციალური პირობები, რაზეც გიორგიმ ისაუბრა, მხოლოდ ერთი დეტალია. იმიტომ რომ ჩვენი ისტორიკოსები მაშინაც წერდნენ თამარზე და დავით აღმაშენებელზე, მაგრამ ამ ეპოქაზე ნაკლებად საუბრობდნენ. ასე რომ, მე ვფიქრობ, ეს იყო გაქცევა მტკივნეული თემიდან. ეს გაქცევა, ჩემი აზრით, კარგად გამოიხატება ოკუპაციის მუზეუმის სახელშიც. რომელიც იმაზე მეტყველებს, რომ უარს ვამბობთ ჩვენი წარსულის ნაწილზე და ვამბობთ, რომ ეს მხოლოდ ოკუპაცია იყო. საბჭოთა პერიოდის მუზეუმი რომ დაგვერქმია, ეს უკვე ნეიტრალური სახელი იქნებოდა. მაგრამ ოკუპაციის მუზეუმი არ არის ნეიტრალური სახელწოდება. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ჩვენ არაფერში არა ვართ დამნაშავეები. ყოველ შემთხვევაში, მცდელობა, რომ ასეთი იყოს დამოკიდებულება, არის. ოკუპაცია, რა თქმა უნდა, იყო, მაგრამ ეს არის მხოლოდ ერთი დეტალი იმ დიდი პერიოდისა, რომელიც 70 წლის განმავლობაში იყო საქართველოში.

ჩემთვის არ არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, რომელი ქვეყანაა დამნაშავე. პირადად ჩემთვის ყველაზე საინტერესო ის არის, რატომ იქცევა ადამიანი ასე. რატომ ხდება შესაძლებელი ისეთი სისტემის შექმნა, როდესაც ადამიანი პირუტყვი ხდება. ეს ჩემთვის ბევრად უფრო საინტერესოა, ვიდრე ერთი ან მეორე მხარის დადანაშაულება და შემდეგ ამის პროპაგანდისტვის გამოყენება.

ბატონმა თორნიკემ ისაუბრა კომისიაზე, რომელსაც, ჩემი აზრით, ასევე ცოტა არ იყოს, უცნაური სახელი ჰქვია. ჩემი აზრით, ისტორიული სიმართლე არ არსებობს. 20-30 წლის გასვლის შემდეგ ის ისტორიული სიმართლე აღარ იარსებებს, რაზეც დღეს დაიწერება ამ დასკვნაში. 50 წლის შემდეგ მის მიმართ კიდევ ერთხელ შეიძლება შეიცვალოს დამოკიდებულება. ასე რომ, უკვე სათაურშივე მუდავნდება ტენდენციური მიდგომა. ძალიან მაინტერესებს, ვისთვის იწერება ეს. რასაკვირველია, მთავრობას აქვს უფლება ექსპერტთა ჯგუფს სთხოვოს კითხვები დასვას ამა თუ იმ თემასთან დაკავშირებით, მაგრამ საინტერესოა, რისთვის კეთდება ეს, შიდა თუ გარე მოხმარებისთვის. ჩემი აზრით, ისტორია და მათ შორის, უახლესი ისტორია, რომელშიც აქტიურად ვიყავით ჩართულები, არ უნდა გამოვიყენოთ პროპაგანდისტათვის. ამას აკეთებდნენ კომუნისტები, რომლებიც მუდმივად ცვლიდნენ ისტორიას. ორუელთანაც შემთხვევითი არ არის წარსულის მუდმივად ცვლა. თუ გვინდა, რომ მართლა გავემიჯნოთ ჩვენს წარსულს, არ უნდა მივმართოთ იგივე მეთოდს და არ უნდა გამოვიყენოთ ოსოტრია, როგორც პროპაგანდის საშუალება.

აქ არქივებზეც ითქვა. ისიც მართალია, რომ მათი დიდი ნაწილი განადგურებულია. აქ იმყოფება ბატონი ომარ თუშურაშვილი, რომელიც არის არქივის ხელმძღვანელი და გვაძლევს იმის საშუალებას, ვიმუშაოთ არქივში. მაგრამ რამდენად არის ეს ინსტიტუციონალიზებული ან პირიქით, ბატონი ომარის კეთილგანწყობაზე დამოკიდებული, ძალიან მნიშვნელოვანია, თუ გვინდა სამართლებრივი სახელმწიფოს აშენება. რასაკვირველია, ძალიან მნიშვნელოვანია, ვიკლევდეთ ამ საკითხებს. მნიშვნელოვანია, გამოდიოდეს დოკუმენტთა კრებულები, ისე, როგორც ეს ესტონელებს და რუსებს აქვთ გამოცემული. ამ თემაზეც გვქონდა საუბარი რუს კოლეგებთან. მათ გვითხრეს,



რომ მართალია, რუსეთში გამოიციმა ეს კრებულები, მაგრამ იმის გამო, რომ ხელისუფლება დაინტერესებულია, მეტნაკლებად კეთილად წარმოაჩინოს საბჭოთა წარსული, საზოგადოებაზე ეს ნაკლებ გავლენას ახდენს. ჩემი აზრით, საქართველოში, სადაც ხელისუფლებაც და საზოგადოებაც უფრო მზად არიან მიიღონ თუნდაც ძალიან მტკივნეულ თემატიკასთან დაკავშირებული დოკუმენტები, ბევრად უფრო რეზონანსული იქნება ასეთი კრებულების გამოცემა. სახელმწიფო ამ მხრივაც უნდა იყოს დაინტერესებული, რომ შეიქმნას რაღაც კვლევითი ჯგუფი, რომელიც არა ერთჯერადად დაწერს მოხსენებას, არამედ გრძელვადიანად გამოიკვლევს მსგავს საკითხებს.

უნდა ითქვას, რომ საბჭოთა პერიოდის მიმართ არსებული მტკივნეული დამოკიდებულებისგან განსხვავებით, არ გვაქვს ასეთივე ცუდი დამოკიდებულება იმ მოკლე პერიოდთან, რომელსაც საქართველოს პირველი დამოუკიდებლობა ერქვა. აქაც ჩვენს აზროვნებაში ტენდენციურობასთან გვაქვს საქმე, რადგანაც შევიძლებთ სოციალ-დემოკრატია, რომელიც მეთაურობდა მაშინ საქართველოს, არც ეს პერიოდი გვაინტერესებს. არადა ეს არის უმნიშვნელოვანესი პერიოდი შემდგომში საბჭოთა პერიოდის გასაგებადაც და საერთოდ, რომ არ ყოფილიყო ეს სამწლიანი ეპოქა, საქართველოს კიდევ უფრო მეტად გაუჭირდებოდა დამოუკიდებლობისკენ სვლა და ნორმალური დემოკრატიული სახელმწიფოს აშენება. ეს იყო პერიოდი, როდესაც საქართველომ შექმნა, განსაკუთრებით დამოუკიდებლობის ბოლო დღეებში, ძალიან მნიშვნელოვანი და იმ დროისათვის მართლაც თვალსაჩინო კონსტიტუცია, და ამ პერიოდის ასეთი უგულვებელყოფა, როგორც ჩვენთან ხდება, იმის მაჩვენებელია, რამდენად ზერელედ ვუყურებთ ჩვენს უახლოეს ისტორიას.

**გოგი გვახარია** – ძალიან დამწყდა გული, რომ თქვენს ლაბორატორიაზე უფრო მეტი არ ილაპარაკეთ. იმიტომ რომ ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც მითებზე უარი ითქვა და მართლაც მეცნიერული შესწავლა დაიწყო კონკრეტული ფაქტების, მიუხედავად იმისა, რომ არქივების დიდი ნაწილი განადგურებულია.

**ლაშა ბაქრაძე** – ვერ ვიტყვი რომ ასეთი პატარა ჯგუფი შეძლებს ასეთი სერიოზული კვლევის ჩატარებას. მოგახსენებთ, რას ვაკეთებთ. კალენდარზე უკვე გესაუბრეთ. ისიც გითხარით, რომ შევიმუშავეთ პატარა მარშრუტი სოლოლაკში. ამ მარშრუტზე მე პირადად რამდენჯერმე უკვე გავატარე უცხოელების ჯგუფები. ეს არის ძველი ქალაქის ნაწილი და აქ იყო კონცენტრირებული როგორც ხელისუფლების, ისე იმ ადამიანების სახლები, რომლებიც წარმოდგენდნენ ქართულ ელიტას, როგორც ჯალათებისა, ასევე მსხვერპლთა. უნდა ვილაპარაკოთ მსხვერპლზეც და ჯალათზეც. ხოლო როდესაც მსხვერპლზე ვსაუბრობთ, არა მარტო ინტელიგენციასა და სამღვდელთაზე, არამედ გლეხობაზე და მუშათა კლასზეც. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლება აცხადებდა, რომ ის მუშათა და გლეხთა მთავრობა იყო, მუშათა კლასს ხერხემალი გადაუტეხეს საქართველოში. ძალიან ძლიერი პროფკავშირები არსებობდა, მაგრამ სოციალ-დემოკრატების გავლენის ქვეშ იყვნენ და ბოლშევიკებს ისინი არ სიამოვნებდათ. ძალიან მნიშვნელოვანია, უბრალო ადამიანების ბედზეც ვისაუბროთ და არა მარტო ვარსკვლავებზე, როგორც ამას

ქართულმა ტელევიზიამ მიგვაჩვია. ჩვენი მარშრუტი რუკის სახითაც გამოიცემა და მსურველებს შეეძლება თავადაც დაათვალიერონ ეს შენობები.

ვფიქრობ, ამ თემის პოპულარიზაციისა და საზოგადოებაში გამოტანისათვის მნიშვნელოვანია გერმანიის მაგალითი. ბერლინში არის ე.წ. „ფენის წამოსაკრავი“ ქვები. იმ სახლების წინ, საიდანაც ადამიანები გაიყვანეს, ქვაფენილზე მიმაგრებულია ლითონის ფირფიტები, რომლებზეც ამ ადამიანების სახელი და გვარი წერია. ჩვენც დიდი სიამოვნებით გავაკეთებდით ასეთ რაღაცას, თუ ვიპოვიდით იმდროინდელ საბინაო წიგნს, რომელიც სამწუხაროდ აღარ არსებობს. ქართველები ცუდად ვუვლით ჩვენი წარსულის ძეგლებს. საბინაო წიგნიც წარსულის ძეგლია.

**გოგი გვახარია** – დიდი მადლობა. შეგვიძლია ასე ჩამოვყალიბდეთ, რომ ქართველებს უფრო გვიყვარს წარსულის მითები, ვიდრე ისტორია. ახლა უკვე შეგვიძლიათ კითხვების დასმა.

– რეალური ინფორმაცია მომხდარის შესახებ, ის დეტალები, რომლებიც ნებისმიერი თაობისთვის მნიშვნელოვანია, არ მოგვეწოდება. რატომ არის ასეთი ტენდენცია მაინც შემორჩენილი, რომ სტალინის პერიოდი კარგი იყო, მიუხედავად იმისა, რომ ეს ძალიან მტკივნეული და მძიმე პერიოდი იყო?

**ლაშა ბაქრაძე** – სტალინთან დამოკიდებულებაში რასაკვირველია, დიდ როლს თამაშობს მისი ქართველობა. ქართველი რომ არ ყოფილიყო, მის მიმართ საქართველოში ასეთი კეთილგანწყობა არ იქნებოდა. მაგრამ იგივე რუსეთში სხვანაირი დამოკიდებულებაა იმის გამო, რომ რუსეთის იმპერია ყველაზე დიდი და ძლიერი სტალინის ეპოქაში იყო და ამის გამო შესაძლოა სტალინი მოსწონდეთ. მეორე მხრივ, ვიტყვი, რომ მიუხედავად სტალინის მიმართ არსებული ამ ლოკალური პატრიოტიზმისა, ის ნელ-ნელა სრულდება. არ უნდა დაგვაფიწყდეს, სტალინის პერიოდის განმავლობაში როგორი პროპაგანდა მიდიოდა საბჭოთა კავშირში. არ უნდა დაგვაფიწყდეს, რას ნიშნავდა ტვინის ყოველდღიური რეცხვა. მას შემდეგაც, რაც გააკრიტიკეს და ხელი შეახოცეს სტალინს, მაინც არ მომხდარა სერიოზული გააზრება ამ ეპოქისა. საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგაც, საქართველოში ამდენი ხანი ვერ მოვახერხეთ დოკუმენტების გამოცემა და ადამიანებისთვის იმის თქმა, რა ხდებოდა რეალურად. რასაკვირველია, ის ადამიანები, რომლებიც ამ პროპაგანდის ქვეშ მოყვნენ ახალგაზრდობაში, დღესაც იგივეს იმეორებენ. და მეორეც, საკუთარი ბავშვობა ყველას კარგად ახსოვს და ტკბილი მოგონებები აქვს მასთან დაკავშირებით.

**ცირა გვასალია, ჟურნალისტი** – ბატონო თორნიკე, თუ შეიძლება დაგვისახელეთ ამ მოხსენების ავტორები და ის წყაროებიც, რომლებსაც ეყრდნობოდნენ ისინი მოხსენების მომზადებისას.

მეორე შეკითხვა ბატონ ელჩთან მაქვს. თქვენ ბრძანეთ, რომ საქართველო უნდა ამაყობდეს თავისი მიღწევებით. მაინტერესებს, რა იგულისხმეთ. ასევე მაინტერესებს თქვენი აზრი სტალინის ძეგლის გადატანასთან დაკავშირებით.

ასევე საინტერესოა თქვენი აზრი იმის შესახებ, ცვლის თუ არა სიმბოლოები ადამიანების აზროვნებას.

**თორნიკე შარაშენიძე** – წყარო უამრავია. ავტორები არიან: გოჩა საითიძე, ბონდო კუპატაძე, სვიმონ მასხარაშვილი, დიმიტრი შველიძე და სხვები. ლაშამ თქვა, რომ ორმოცდაათი წლის შემდეგ ახალი სიმართლე ითქმება. ჩვენ ახალ სიმართლეს არ ვამბობთ. იწერება ის, რაც ისტორიკოსებისთვის უკვე ისედაც ცნობილი იყო. ჩვენ თავს ვუყრით ყველაფერ ამას და ლაკონური, მკაფიო და არგუმენტირებული სახით ვაწვდით მკითხველს.

**თომას ლუკი** – ესტონეთში შეიქმნა საერთაშორისო კომისია, რომელსაც მარკ იაკობსონი თავმჯდომარეობდა. სტალინის რეჟიმი არ არის მხოლოდ საქართველოს პრობლემა. ნუ შეხედავთ მას მხოლოდ საქართველოს კუთხით. ამასწინათ მოვისმინე ფრანგი ფილოსოფოსის, ბლუსმანის სიტყვა. მისი თქმით, მთავარ პრობლემას ადამიანების ინდიფერენტული დამოკიდებულება წარმოადგენს. სტალინიზმთან დაკავშირებით ჩანს, რომ თქვენ არ ხართ ინდიფერენტულები და ეს თქვენ მომავალში შეცდომების დაშვებისგან დაგიცავთ. ასეთი ტიპის ანგარიშები მითებს ბოლოს უღებს.

რაც შეეხება საქართველოს მიღწევებს, ის ვიგულისხმე, რომ ბოლოს საქართველოში 2000 წელს ვიყავი ჩამოსული. თუ გაიხსენებთ იმ პერიოდის საქართველოს, მიხვდებით რას ვგულისხმობდი მიღწევებში. ეს სულ სხვა სამყაროა. სიმბოლიკასთან დაკავშირებულ კანონპროექტზე კი ვერაფერს გეტყვით, ეს პოლიტიკური თემაა და ამაზე თქვენმა საზოგადოებამ უნდა იმსჯელოს.

**გოგი გვახარია** – გმადლობთ. გასაგებია, მიუხედავად იმისა, რომ ამ კანონპროექტის მომხრეებს ხშირად მოჰყავდათ მაგალითად, სწორედ ბალტიისპირეთის ქვეყნების გამოცდილება.

**მორისონ ქობულია, ისტორიკოსი** – პირველად ვარ თქვენს შეკრებაზე. ძალიან საინტერესო მოხსენებები მოვისმინე. მაინტერესებს, როდესაც სოციალიზმზე ვსაუბრობთ, ვარგოდა თუ არ ვარგოდა, თქვენი აზრით, კაპიტალიზმი ვარგა თუ არ ვარგა? მოგვწონს დღევანდელი ცხოვრება თუ არა? დამრჩა შთაბეჭდილება, რომ სამწუხაროდ, იმ თეორიულ მონაცემებს, რომლებიც კაპიტალისტური სამყაროს მეცნიერებს აქვთ გაანალიზებული, იმ თეორიულ ცოდნას, რომელიც აქვთ სოციალისტური საზოგადოების მეცნიერებს, ნაკლებად ვეხებით. მოგვწონს თუ არა, სოციალიზმი, ის არსებობდა. რა ისტორიული პერიოდია დღეს, საით მიემართება საზოგადოება, ამაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება.

**გოგი გვახარია** – დიდი მადლობა. შეგახსენებთ, დღეს სოციალიზმზე არ ვსაუბრობთ. დისკუსიის თემაა საბჭოთა მემკვიდრეობა. ეს სხვადასხვა თემებია.

**დავით გოგიშვილი, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია** – ბატონ თორნიკესთან მაქვს რამდენიმე შეკითხვა. თქვენ ბრძანეთ, რომ ჯგუფის მიზანია

ანგარიშის დაწერა. ეს მე მგონი, საშუალება უნდა იყოს, რომ საზოგადოებას რაღაც გააგებინოთ. რა უნდა გაიგოს თქვენი ანგარიშის მკითხველმა გარკვეულ ისტორიულ პერიოდზე.

მეორე შეკითხვა: წარმოადგენს თუ არა თქვენი დასკვნა სახელმწიფო პოზიციას. კომისია ბიუჯეტიდან ფინანსდება, მაგრამ იზიარებს თუ არა მთავრობა თქვენს მოსაზრებას.

მესამე შეკითხვა: ვინ შეარჩია იტორიკოსები კომისიის წევრებად.

**თორნიკე შარაშენიძე** – პირადად ჩემთვის მიზანი ამ პერიოდის კარგად გააზრება, საქართველოს მიერ რუსეთთან ურთიერთობაში დაშვებული შეცდომების გააზრებაა. ბევრი ცუდი, რაც საქართველოს, როგორც საბჭოთა პერიოდში, ისე მანამდეც, საკუთარი შეცდომების გამო დაემართა.

ჩვენ ვაგროვებთ სხვადასხვა ისტორიულ ნაშრომებში თავმოყრილ ისტორიულ სიმართლეს. ეს პროპაგანდა ნაკლებად არის. თუმცა, როდესაც ერთი სახელმწიფო მეორესთან თითქმის ომშია ჩართული, ოკუპირებულია, იმისთვის, რათა ერის იდენტობა უფრო გამყარდეს და გაღვივდეს, პროპაგანდისტული ნაბიჯების გადადგმის უფლება ალბათ აქვს.

კომისია ბიუჯეტიდან ფინანსდება, მაგრამ სახელმწიფო იზიარებს თუ არა მის პოზიციას, ნამდვილად არ ვიცი, იმიტომ რომ სახელმწიფო კომისიის მუშაობაში არ ჩარეულა. ისტორიკოსები შევარჩიეთ მე და ვასილ რუხაძემ, კომისიის თავმჯდომარემ, რომელიც 12 წელია ამერიკაში ცხოვრობს და საქმიანობს.

**ლაშა ბაქრაძე** – საინტერესოა, კომისიის თავმჯდომარე იყოს ადამიანი, რომელიც ახლა მუშაობს სადოქტოროზე, თუმცა ეს სხვა საკითხია. როდესაც ვლადიმერ პუტინი ხოლმე გააზრებაზე, მას წლები სჭირდება. მისთვის საკმარისი არ არის ხუთკაციანი ჯგუფის მიერ რაიმეს დადგენა. უნდა ითქვას, თქვენ არ ეწვევით არც გააზრებას, არც გაანალიზებას. თქვენ ადგენთ, რა არის სწორი და რა არის მტყუანი. შემდეგ ამას ალბათ სკოლის სახელმძღვანელოებში გადაიტანენ და იტყვიან, რომ ეს ასეა და ასე უნდა იყოს.

**გიგა ჭკადუა, საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი** – კითხვის დასმამდე ბატონს მინდა მივმართო. მე ჩემი მსოფლხედვით სოციალისტი ვარ, ოღონდ ანტისაბჭოთა სოციალისტი. კარდინალურად განსხვავდებოდა სოციალიზმი და საბჭოთა კავშირი ერთმანეთისაგან.

მაინტერესებს, რამდენად ეტყობა დღევანდელ ცხოვრებას, პოლიტიკურ ელიტას, საზოგადოებას, საბჭოთა წყობის და სტალინიზმის კვალი.

**თორნიკე შარაშენიძე** – ალბათ ეტყობა შეუწყნარებლობასა და სულსწრაფობაში. ერთმანეთს არაფერს ვაცლით და სულ ეჭვის თვალით ვუყურებთ.

**გოგი გვახარია** – თუმცა სტალინიზმი გამორიცხავდა დისკუსიას.

**იაკობ ახუაშვილი** – მე ორი გვარის მატარებელი ვარ, ახუაშვილი-მუსხათელი და ახუაშვილი-ალგეთელი. როცა ქართველ ხალხს და ჩემს სოფლებს ვესაუბრები, პირველ გვარს ვატარებ, როცა ამ ხელისუფლებას – მაშინ ალგეთელი ვარ. 52 წიგნის ავტორი გახლავართ. 10 წიგნი ეხლა იბეჭდება. 10026 სტატიის ავტორი ვარ და გინესის წიგნის რეკორდსმენი. მაგრამ სტატიებს აღარ მიბეჭდავენ. უარს მეუბნებიან, ასეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ. წაიკითხეთ ჩემი სტატია „მართულია თუ არა საქართველო“, იქ ყველაფერი წერია.

**სოფო მაისურაძე** – თქვენი აზრით, დღესაც ხომ არ იბადება სიმბოლიკა, რომელსაც შემდგომში გააკრიტიკებენ?

**ლაშა ბაქრაძე** – გააჩნია, რას გულისხმობთ კრიტიკაში. ერთნი ამბობენ, რომ საბჭოთა სიმბოლიკა მოვანგრიოთ. მე ამას არ ვეთანხმები. თუ გვინდა, რომ საბჭოთა კავშირი გავიაზროთ, ეს სიმბოლიკა კიდევ ერთი ბიძგი იქნება ამისთვის.

რაც შეეხება ახალ სიმბოლიკას, რასაკვირველია, ნებისმიერი სახელმწიფო, კულტურა, ცივილიზაცია, ცდილობს ახალი სიმბოლოების შექმნას. მაგალითად საქართველოს დღევანდელი დროშა არის თანამედროვე საქართველოს სიმბოლო.

– ბატონო ელჩს, ესტონელი ხალხის წარმომადგენელს ჩვენი დიდი მოწიწება და მადლობა, რომ ესწრება დღევანდელ ღონისძიებას. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ესტონეთისაგან ბევრი გვაქვს სასწავლი. თუნდაც ის ფაქტი, რომ ესტონეთში, ჩემი მონაცემებით, რამდენიმე წელია ელექტრონული მმართველობა უკვე დამკვიდრებულია და ყველაზე მივარდნილ სოფელშიც კი არის უფასო ინტერნეტ-ცენტრი, მრავლის მთქმელია.

ბატონო ლაშა, იყო თუ არა სტალინიზმის მიმართ ინტერესი რამდენიმე წლის წინ, როდესაც შესაძლოა, დარბაზი არც შევსებულყო. ამ თემის გარშემო შექმნილმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა ვერ შეძლო ჩვენი შეკრება. იმდენად ვერ შეძლო, რომ მათი ნაწილი, ვინც ვცდილობდით ამ პრობლემის გააზრებას, სოციალურ ქსელებში უკვე აქტიურად ვართ წარმოდგენილნი, მაგრამ ვერც იქ გვაჩნევენ.

– სტალინის მუზეუმთან დაკავშირებით მინდა მოგახსენოთ. არის სტალინის მემკვიდრეობასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებსაც უფრო კრიტიკულად უნდა შევხედოთ. აქ იყო საუბარი გერმანიაში ქვაფენილზე გაკეთებულ წარწერებზე. ეს არ ეხება მხოლოდ ებრაელებს, თუმცა მათ ყველაზე მეტად შეეხოთ რეპრესია. საქართველოშიც გსურთ იგივეს გაკეთება? გერმანელები ძალიან კრიტიკულად ვუყურებთ საკუთარ წარსულს. ეს ჩვენი წარსულის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულების აღსანიშნავად არის გაკეთებული.

**ლაშა ბაქრაძე** – შევეცდები, რაც შეიძლება მოკლედ ვთქვა გორის მუზეუმთან დაკავშირებით. ამ თემაზე მქონდა იდეა, რომელიც გაიზიარა ჯგუფმა. ეს იდეა გადასცეს მარტინ ლაარსაც, რომელიც საქართველოს მთავრობასთან კარგ ურთიერთობაშია და მას მოეწონა იგი. რაში მდგომარეობს

ჩემი იდეა. რადგან იმდენად უბადრუკია არსებული გამოფენა, და ზუსტად გადმოსცემს რა იყო საბჭოთა კავშირი, ასევე უნდა შენარჩუნდეს და ქვემოთ უნდა მოეწყოს გამოფენა გამოფენის შესახებ, სადაც კარგად იქნება ნაჩვენები, თუ როგორ ყალბდებოდა ისტორია. ვფიქრობ, სწორედ ეს იქნება ის განსაკუთრებულობა, რაც ექნება გორის მუზეუმს, რომელსაც მართლაც აქვს შანსი, იყოს ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მუზეუმი ამ საკითხებთან დაკავშირებით არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოში.

რაც შეეხება იმ ქვებს, რომლებზეც ვისაუბრე, ეს მართლაც მეტყველებს გერმანელი ხალხის თვითკრიტიკულ დამოკიდებულებაზე. ასეთ დამოკიდებულებას ვისურვებდი ყველა სხვა ქვეყანაში. არც ჩვენთან, არც ბალტიისპირეთის ქვეყნებში ის არ არის. რასაკვირველია, გერმანელებს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ განსაკუთრებით მწვავე პასუხისმგებლობის გრძნობა გამოუმუშავდათ ჩადენილი დანაშაულის გამო. კარგი იქნება, თუ სხვებიც ასევე შეხედავენ საკუთარ თავს, როგორი მტკივნეულიც არ უნდა იყოს ეს. კარგი იქნებოდა, თუ ასეთი ქვები თბილისშიც გაკეთდებოდა, მაგრამ ჩვენთან სამწუხაროდ, იმდენი მასალა არ არის შემონახული, რომ ამის გაკეთების საშუალება მოგვცეს. გერმანიაში თითოეულ სახლზე შეეძლოთ ეთქვათ, იქ რა ხდებოდა.

**გოგი გვანარია** – ბატონ ელჩს სურს კომენტარის გაკეთება სიმბოლიკასთან დაკავშირებით.

**თომას ლუკი** – ვფიქრობ, რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. უპირველეს ყოვლისა, როგორ ვიყენებთ სიმბოლოებს. რა ტიპის ასოციაციებს აქვს ადგილი. როდესაც სიმბოლოებს ქმნით, უნდა იფიქროთ მათ მემკვიდრეობაზე.

**ნინო შარვაშიძე, ილიას უნივერსიტეტის დოქტორანტი** – ძალიან გამახარა თქვენი ლაბორატორიის შექმნის ფაქტმა. მინდა შემოგთავაზოთ იდეა. არქივებზე ვსაუბრობდით და “ცოცხალი არქივები” ჯერ კიდევ ცოცხალნი არიან. რატომ არავის ებადება სურვილი, შეხვდეს რეპრესირებულთა ოჯახის წევრებს და მიიღოს ინფორმაცია.

**რუსუდან ტაბატაძე** – ჩვენ გვაქვს საზოგადოება, რომელიც მაქსიმალურად ერიდება საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღებას. იგი არ ენდობა ხელისუფლებას, მაგრამ მაინც ელის, რომ ის მოუგვარებს მას ყველა პრობლემას. ჩვენ ისევ შორს ვართ იმ აზრისგან, რომ მოქალაქეები მთავარი მოთამაშეები ვართ სახელმწიფოში. სახელმწიფო ბოროტად სარგებლობს ამით და პასუხობს უკიდურესი შეუწყნარებლობით.

რამდენად უკავშირდება ეს რეალობა საბჭოთა წარსულს. რა გამოცდილება აქვს ესტონეთს ამ შედეგების დაძლევის კუთხით.

**გიორგი კლდიაშვილი** – ყველამ, ვინც დღეს მოხსენება წაიკითხა, აღნიშნა, რომ სტალინიზმის თემა ჯერ კიდევ შესასწავლია. ჯერ შევისწავლოთ ეს თემა და პარალელები მერე გავავლოთ. დღევანდელი მდგომარეობაზე ვსაუბრობთ და

მთელი სამოცდაათწლიანი ისტორია საბჭოთა საქართველოსი ჯერ კიდევ გაურკვეველია და ლეგენდების დონეზეა ცნობილი. ჯერ ის რეალობა დავადგინოთ უნიკალურ საარქივო მასალებზე დაყრდნობით, რაც იყო იმ პერიოდში, და მერე ძალიან ადვილი იქნება პარალელების გავლება და თეორიულ საკითხებზე საუბარიც.

**თომას ლუკი** – რეფორმებით და მონაწილეობით შეიძლება გადავლახოთ საბჭოთა მემკვიდრეობა და წარსული.

**ლაშა ბერაია, გამომცემელი** – ბატონ ელჩთან მაქვს კითხვა. რა გამოცდილება აქვს ესტონეთს ლუსტრაციასთან დაკავშირებით. ასევე მინდა ამ თემაზე ვკითხო ჩვენს ქართველ მომხსნებლებსაც. ვიცი ბატონი ლაშას აზრი იმის შესახებ, რომ ბევრი დოკუმენტია განადგურებული და შეიძლება ამას აზრი აღარც ჰქონდეს. მაგრამ დღეისთვის არსებული დოკუმენტებით რამდენად შესაძლებელია ლუსტრაციაზე საუბარი და რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს.

**თომას ლუკი** – ამ გამოცდილებას კარგად არ ვიცნობ და გამიჭირდება კონკრეტული პასუხის გაცემა.

**ლაშა ბაქრაძე** – მივეკუთვნები იმ ადამიანთა მცირე ჯგუფს, რომელიც ლუსტრაციის მომხრე იყო. თავის დროზე ბიოლის ფონდისა და გოეთეს ინსტიტუტის ორგანიზებით საქართველოში ჩამოვიყვანეთ იაოხიმ გაუკი, შტაზის არქივის უფროსი, რომელიც გერმანიაში ათი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ამ საქმეს. მან თავის გამოცდილებაზე დაყრდნობით ძალიან საინტერესო მოხსენება გააკეთა. ეს იყო ადამიანი, რომელსაც მთელ აღმოსავლეთ ევროპაში ყველა ეკითხებოდა, თუ როგორ უნდა გაეკეთებინათ ეს საქმე. მაგრამ ჩვენ სერიოზულ პრობლემებს გვიქმნის ის, რომ არქივის დიდი ნაწილი განადგურებულია. ჩვენ გვაქვს მონაცემები საბჭოთა კავშირის ბოლოს კაგებეს ოფიციალურ თანამშრომლებზე, ასეთი 26 ათას ადამიანზე მეტი იყო. მაგრამ აქ ერთი მორალური პრობლემაა. ის ადამიანი, რომელმაც ერთხელ ხელი მოაწერა, რომ უცხოეთში წასულიყო და ის, ვინც წლების განმავლობაში ასმენდა სხვა ადამიანებს, ერთ კატეგორიაში მოხვდებოდა. დიდ პრობლემას ქმნის ის, რომ აღარ არსებობს ალბათ 90%-ზე მეტი იმ ოქმებისა, რომლებიც იყო კაგებეში. სამწუხაროდ, ჩვენთან ერთ მშვენიერ დღეს რომც ჩატარდეს ლუსტრაცია, ძალიან შეკვეცილი იქნება. იმ კანონპროექტში, რომელზე ვისაუბრე, ერთი პუნქტი სწორედ ლუსტრაციას ეხება. სამწუხაროდ, სრულიად აბსურდული კანონპროექტია. ამ კანონპროექტის მიხედვით უნდა შეიქმნას პატარა ჯგუფი, ვისაც ეცოდინება, ვინ იყო აგენტი და ა.შ. როდესაც ვიდაც მოინდომებს წარდგეს ოფიციალურ თანამდებობაზე, მას შეიძლება უთხრან, რომ ის აგენტი იყო. ცოდნის მონოპოლიზაცია ამ თემებზე, ყოველთვის იძლევა შანტაჟის საშუალებას. ასეთ კანონპროექტს აზრი არ ექნება, ისეთი ლუსტრაციის წინააღმდეგი ვარ, როგორსაც სახაეს ბატონ თორთლაძის კანონპროექტი. მთავარია, გავიგოთ, სისტემა როგორ მოქმედებდა, და არა ის, რომ ვიდაც დაისაჯოს. იმიტომ რომ ოც წელზე მეტი გავიდა და ძალიან გაახალგაზრდავდა ჩვენი პოლიტიკური ელიტა. იმიტომ ისეთი მნიშვნელობა, როგორიც ექნებოდა

ოცი წლის წინ კანონს ლუსტრაციის შესახებ შეზღუდვების თვალსაზრისით, დღეს აღარ აქვს. ცოდნის თვალსაზრისით, რასაკვირველია, ძალიან მნიშვნელოვანია.

**თომას ლუკი** – დამოუკიდებლობის მიღებიდან ოცი წლის შემდეგ, როცა სახელმწიფო უკვე მყარად დგას ფეხზე, ბევრი რამ გვაფიქვდება. მაგრამ 90-იან წლებში ეს ძალიან მტკივნეული საკითხი იყო. მაგრამ ალბათ ეს პერიოდიც უნდა გაიარო.

**მარიამ აბულაძე** – რუსეთში გადასახლებულთა და რეპრესირებულთა ძალიან დიდი სიებია ინტერნეტში განთავსებული. ბევრი ქართველი კი ჯერ კიდევ ეძებს თავის ნათესავებს და არ იციან, როგორი მიაგნონ მათ. ასეთი პრობლემა პირადად მეც მქონდა. ჩემი დიდი ბაბუა სახლიდან წაიყვანეს და მას შემდეგ მასზე აღარაფერია ცნობილი. ჩვენ შევეცადეთ დაგვაკავშირებოდით ამ რუსულ ორგანიზაციას, რომ გადმოგზავნათ მონაცემები, მაგრამ ეს ძალიან რთული პროცესი იყო. როგორ შეიძლება, რომ ეს პროცესი უფრო ხელმისაწვდომი და გაადვილებული გახდეს ჩვენთვის. არ შეიძლება, რომ საქართველოს მხარემ გამოითხოვოს ქართველების შესახებ არსებული მონაცემები?

მეორე შეკითხვა: დღეს ხშირად გაიგონებთ იმას, რომ მეორე მსოფლიო ომი არ იყო ქართველების ომი. ჩემთვის ძალიან მტკივნეულია, რომ მემორიალურ დაფებს ანგრევენ და პატივს არ სცემენ მათ. ეს რომც არ ყოფილიყო ჩვენი ბრძოლა, იქ ბევრი ქართველი დაიღუპა. მაიტერესებს თქვენი აზრი ამ თემაზე.

**ლაშა ბაქრაძე** – შეიძლება მეც ვარ ცოტათი დამნაშავე იმაში, ამას რომ ამბობენ. თავის დროზე მითქვამს იმის შესახებ, რომ მეორე მხარესაც იბრძოდნენ ქართველები, რასაკვირველია, რიცხობრივად ძალიან მცირე რაოდენობით. მიუხედავად ამისა, ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავი მემორიალების დანგრევის, რადგან ეს ადამიანები მართლაც მთელი გულახდილობით იბრძოდნენ ომში, რომელიც მიაჩნდათ, რომ მათი ომი იყო. ეს არის ჩვენი ისტორიის ტრაგედია, რომ ასეთ ომებში გვიხდება მონაწილეობის მიღება და უამრავი სისხლი დავდვარეთ უაზროდ.

რაც შეეხება პირველ შეკითხვას, პატარა ჯგუფი ამას ვერ გააკეთებს. ეს უფრო სახელმწიფოს ეხება. როგორც ჩემთვის ცნობილია, მსგავსი რაღაცის გაკეთება არქივსაც უნდა, რომელიც იმუშავებს ამ თემასთან დაკავშირებით.

ლუსტრაციაზე დავამატებ. ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც შეიძლება გაკეთდეს, ის არის, რომ ოჯახში შვილიშვილებმა ჰკითხონ თავიანთ ბაბუებს, რას აკეთებდნენ იმ დროს. ვიდრე ჩვენ თავად ოჯახში არ დავსვამთ ასეთ კითხვებს, გამოვა, რომ მხოლოდ სხვისი ბაბუები იყვნენ დამნაშავეები და ჩვენი არა. სხვათა შორის, რუსეთში არის ასეთი ტრადიცია, საზოგადოება „მემორიალთან“ ერთად. შეიძლება მოეწყოს კონკურსები, სადაც ბავშვებს დააწერინებენ თემებს ამ საკითხებზე.



– ბატონ თორნიკესთან და ლაშასთან მაქვს შეკითხვა. მაინტერესებს, თუ განიხილავთ საბჭოთა ენათმეცნიერებასთან დაკავშირებულ საკითხებს. კონკრეტულად ვინ მუშაობს ამ თემაზე? საბჭოთა ენობრივ პოლიტიკას თუ სწავლობთ.

**თორნიკე შარაშენიძე** – ერთ-ერთი მოხსენება სწორედ ეხება არა პოლიტიკურ და ეკონომიკურ ასპექტებს, ენობრივ პოლიტიკასთან არის დაკავშირებული. ზუსტად, თუ ვინ მუშაობდა ამ თემაზე, სამწუხაროდ, ვერ გეტყვით.

**ნინო დათაშვილი, თეოლოგი** – სამწუხაროდ დღეს არავის უსაუბრია სტალინის დამოკიდებულებაზე ქართული ეკლესიის მიმართ, რატომ დაუბრუნა ავტოკეფალია ქართულ ეკლესიას და ა.შ. მესმის, რომ ეს დიდი თემაა, მაგრამ ერთი კონკრეტული შეკითხვა მაქვს: რუსეთში გაიხსნა იმ სასულიერო პირთა არქივები, რომლებიც თანამშრომლობდნენ კავებესთან. ჩვენთან როდის მოხდება ეს?

**ლაშა ბაქრაძე** – თუ წახვალთ კავებს არქივში, გექნებათ იმის საშუალება, იმუშაოთ ამ თემაზე და არავინ შეგიშლით ხელს. ყველა საკითხზე რამდენიმე ადამიანი ვერ იმუშავენ. ეს მართლაც ძალიან საინტერესო საკითხია. იმიტომ რომ ძირითადად საეკლესიო პირების მიმართ განხორციელებულ ტერორზე ვლაპარაკობთ, მათ თანამშრომლობაზე კავებესთან კი ხშირად არაფერი ვიცით.

**გიორგი კლდიაშვილი** – აქ იკითხეს, როგორ შეიძლება მოვიპოვოთ ცნობები იმ რეპრესირებულთა შესახებ, რომლებიც მოხვდნენ საბჭოური ტერორის მანქანის წნეხის ქვეშ. შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო უკვე ძალიან დიდი ხანია გასცემს ცნობებს რეაბილიტაციის შესახებ. რუსეთის იმ დაწესებულებიდან, რომელსაც „მემორიალი“ ეწოდება (აქ რამდენიმე სახელმწიფო სტრუქტურაა ჩართული), უკავშირდებიან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და აწვდიან ინფორმაციას. ალბათ ამის შესახებ ცნობილი უნდა გახდეს ჩვენი საზოგადოებისთვისაც. მიმართეთ შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველოს და ინფორმაციას უპრობლემოდ მიიღებთ.

**ნინო როყვაძე, ილიას უნივერსიტეტი** – ბატონ თორნიკეს მინდა ვკითხო კომისიასთან დაკავშირებით. იმისათვის, რომ თქვენს მიერ მომზადებულ დოკუმენტს ჰქონდეს მნიშვნელობა, უკეთესი ხომ არ იქნებოდა, ის სამართლებრივი კუთხით განგეხილათ და ამ საქმიანობაში იურისტებიც ყოფილიყვნენ ჩართულები?

**მაგდა გურული** – დღევანდელი დისკუსიიდან გამომდინარე, ვფიქრობ, ჩვენს საზოგადოებას კიდევ ოცი წელი გაუჭირდება რაიმე შეფასების გაკეთება. ამიტომ მაინტერესებს, თქვენი ლაბორატორია რამდენად თანამშრომლობდა ამ სახელმწიფო კომისიასთან. როგორ ფიქრობთ, აუცილებელია თუ არა, ამ

საკითხზე მომუშავე ორგანიზაციები შეთანხმდნენ სახელმწიფო კომისიასთან შეფასების გაკეთებისას.

**ლაშა ბაქრაძე** – ჩვენი ლაბორატორია წელს ჩამოყალიბდა და შეიძლება სულ არ სცოდნოდათ ამის შესახებ. რასაკვირველია, აქ იყო იმაზე საუბარი, რომ ეს საქმიანობა ფართო სპექტრის ჩართვას მოითხოვს.

**გოგი გვახარია** – დიდი მადლობა. დავასრულოთ დისკუსია.